

კავშირის "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს გამგეობის სხდომის

ოქმი # 2018-01

ქ. თბილისი

28 მაისი 2018 წელი

სხდომას ესწრება გამგეობის 8 წევრი:

გამგეობის წევრის ოთარ თავართქილაძის წარდგინებით გამგეობის სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა შოთა აფხაზავა კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა გამგეობის 8 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

გამგეობის სხდომის თავმჯდომარის, შოთა აფხაზავას წარდგინებით გამგეობის სხდომის მდივნად დასახელდა ზურაბ ბაბუციძის კანდიდატურა.

გამგეობის სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზურაბ ბაბუციძის "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს გამგეობის სხდომის მდივნად დანიშვნას.

დღის წესრიგი :

- საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ახალ ევრაზიულ ზონაში გაწევრიანების საკითხის განხილვა;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის გამგეობის სხდომის თავმჯდომარემ შოთა აფხაზავამ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა გამგეობის 8 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

1) საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ახალს ევრაზიის ზონაში
გაწევრიანების საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ შოთა აფხაზავამ მოახსენა გამგეობას, რომ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის წესდების და სხვა ძირითადი დოკუმენტების თანახმად იქმნება ახალი ტერიტორიული გაერთიანება - საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ევრაზიის ზონა. არსებული ინფორმაციის თანახმად, ახალ ზონაში გაწევრიანება არ ითვალისწინებს ცენტრალური ევროპის ზონის დატოვებას, რომლის წევრი საქართველო არის ახლა. ასევე წესდების და მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად ზონის შემადგენლობის დატოვება შესაძლებელია ნებისმიერ მომენტში ფედერაციის გადაწყვეტილებით.

ამჟამად ზონაში გაწევრიანებას აპირებენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელოსურის, ყაზახეთის, რუსეთი და თურქმენეთის ფედერაციები. განხილვის სტადიაშია ეს საკითხი თურქეთის და საქართველოს ფედერაციებში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ამ ეტაპზე გაწევრიანებული ფედერაციები გახდებიან ონის დამფუძნებელი და შემდგომში ახალი წევრების მიღების შესახებ მიიღებენ გადაწყვეტილებას.

სხდომაზე დამსწრეებმა და ასევე ტელეფონის მეშვეობით ზურაბ ბეჟაშვილმა და მევლუდ მელაძემ გამოტყვეს აზრის საკითხის შესახებ.

გადაწყვეტილება FIA-ს ევრაზიის ზონაში გაწევრიანების შესახებ ჩვენი ქვეყნის მთავრობის პოზიციის გათვალისწინებით (შესაბამისი პროფილური სამინისტროს) და იურიდიული ასპექტის დაზუსტების შემდეგ (უფლებამოსილია თუ არა გაგეობა ამ საკითხზე მიიღოს გადაწყვეტილება), დადგა კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6

(შოთა აფხაზავა, ოთარ თავართქილაძე, ზურაბ ბეჟაშვილი, ზურაბ ბაბუციძე, დათო ნებიერიძე,
შოთა მამრიკიშვილი)


წინააღმდეგი 2

(დავით მჭედლიშვილი და მევლუდი მელაძე)

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა გამგეობის 8 წევრი)

გამგეობის წევრის მიერ ჩამოყალიბებული აზრი მიღებულია ხმათა უმრავლესობით.



2

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე მსჯელობა დასრულდა. გამგეობის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  შოთა აფხაზავა

სხდომის მდივანი:  ზურაბ ბაბუციძე

სხდომის წევრები:

მევლუდი მელაძე: _____ შოთა მამრიკიშვილი: 

ოთარ თავართქილაძე:  დათო ნებიერიძე: 

ზურაბ ბეჟაშვილი:  დავით მჭედლიშვილი: _____